საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/ 252

ქ. ბათუმი

25 ოქტომბერი, 2022 წ.

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2022 წლის 24 ოქტომბრის №1346069 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბრძანების N1 დანართში (მექანიზმები)

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-3-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **განხორციელების** ეტაპზე სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება:
ა) სწავლებაზე დასწრების ორგანიზება და გამოცდილებათა გაზიარება, სწავლების ანალიზი დასწრების კითხვარის გამოყენებით.

ბ) სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;
გ) პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;
დ) პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა;

4. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **შეფასების** ეტაპზე სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგურალურ შემოწმებას და ანგარიშგებას, სასწავლო პროცესის შეფასება ხორცილედება:
ა) მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლით;
ბ) მეცადინეობებზე დასწრება და ანალიზი;
გ) პროფესიულ საგანამნათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა და ანალიზი;
დ) სასწავლო პროცესის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;
ე) პროფესიულ მასწავლებლთა შეფასება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;
3) კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზი;
ზ) დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით და ანალიზი;
თ) დასაქმების სტატისტიკის წარმოება.

5. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **განვითარების** ეტაპზე:

ა) ხდება შეფასების ეტაპზე მოგროვებული ინფორმაციის ანალიზი, მიღწეული შედეგების შედარება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან და გადაწყვეტილების მიღება;
ბ) ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტრენინგები;
გ) არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, დადგენილი პროცედურის შესაბამისად;
დ) გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/ პროგრამების გასაუმჯობესებლად.
6. მეცადინეობებზე დასწრების, კმაყოფილების კვლევის, თვითშეფასების კითხვარების ფორმები არ მტკიცდება. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/კითხვარი და სხვა ფორმა.";

ბ) მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით **მომზადდეს კოდიფიცირებული** „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**“ და განთავსდეს **ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში.**
3. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების**“ გაცნობა პროფესიული სტუდენტებისა და შესაბამისი პერსონალისათვის.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**